№ 239
ხუთშაბათი, 2 ნოემბერი, 1900 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 239
ხუთშაბათი, 2 ნოემბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაგარეგლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

**დეკანოზი ნიკოლოოზ და პოდპოლკოვნიკი ხარლამპი არდაზიანნი სახლობითურთ** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა დისა თვისისა

## კნეინა ნინო თარხან-მოურავის ქვრივისასა

და სთხოვენ მობრძანდნენ შაბათს, 4 ნოემბერს, საკუთარ სახლში, საპერნის ქუჩაზედ, № 1, საიდგანაც გარდაცვალებულის გვამი განსვენებული იქმნება სამების ეკკლესიაში დილის ცხრა საათზედ. პანაშვიდი ყოველ დღე იქმნება გარდახდილი საღამოს 7 საათზედ.

(1—218—1)

## ქართული თეატრი

**კვირას, 5 ნოემბერს,**

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**უკანასკნელად ამ სეზონში**

I

## სამშობლო

ისტორ. დრამა 5 მოქ. თავ. დ. ერისთავისა.

II

## დედის ერთა

კომედ. 1 მოქ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი, გარელი, კუნდელი; ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ავალიანი, ურუშაძე, მირიანოვი და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

**დასაწყისი 8 საათზედ.**

რეჟისორი **ვ. გუნია**

**მზადდება წარმოსადგენად სვ. სვიმონიძის საბენეფისოდ ახალი პიესა „ორი გმირი", ეფ. მესხის საგასტროლოდ „ციხის საიდუმლო", „დენიზა" და სხვანი.**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**ზ. ა. თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არზანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინასა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Ворроцову.

კვირას, 5 ნოემბერს,

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, დილის 11 საათზედ, მოხდება ქართულ-დრამატიულ საზოგადოების წევრთა

## საზოგადო კრება

კრების საგნებია:

1, ანგარიში საზოგადოების წარსული წლის მოქმედებისა და მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა,

2, ანგარიში სარევიზიო კომისიისა,

3, გამგეობის მოხსენება ქართულ თეატრის შენობის იჯარით აღების შესახებ,

4, არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა,

5, არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. კრება შესდგება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**მ. ბ. ბეზირგანოვი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. ბელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

საჭიროა

## მოსამსახურე-ბიჭი

13—14 წლისა. იკითხონ „ივერიის" რედაქციაში, ნიკოლოზის ქ. № 21

(4—უ.—2)

## ახალი ამბავი

⁂ სამშაბათს, 31 ოქტომბერს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში შესდგა მეორედ კრება ამიერ კავკასიის იმ დაწესებულებათა წარმომადგენლებისა, რომელთაც მონაწილეობის სურვილი განაცხადეს მომავალ 1901 წლის საიუბილეო გამოფენის პროგრამის შემუშავებაში. კრებზედ გამოცხადდა 45 წარმომადგენლამდე. კრებას უმთავრესს განსახილველ საგნად ჰქონდა სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მიერ საბოლოოვოდ შემუშავებულ პროგრამის განხილვა. კრებამ, განიხილა რა პროგრამაში შეტანილი ზოგიერთი ცვლილებანი, დაამტკიცა მთელი პროგრამა და დაადგინა: წარედგინოს იგი უმაღლესს მთავრობას დასამკიცებლად; ვიდრე დამტკიცებულ პროგრამას მიიღებდნენ, დაევალოს სამეურნეო საზოგადოების საბჭოს განაგრძოს მუშაობა გამოფენისათვის სხვა და სხვა საჭირო საგნების შესამზადებლად, მაგალითად, გამონახოს წყარო, საიდგანაც უნდა აიღონ ფული გამოფენის გასამართავად; იშუამდგომლოს ყველა საზოგადო თუ სახელმწიფო დაწესებულებათა წინაშე დახმარება აღმოუჩინონ საზოგადოებას გამოფენის პროგრამის საუკეთესოდ განსახორციელებლად, შეიტანოს აგრეთვე პროგრამაში საეტნოგრაფიო და საგეოგრაფიო განყოფილებანი და ამოირჩიონ საუკეთესო ადგილი გამოფენის გასამარ-

## ფელეტონი

**რუსთა შორის**

ქართულ სიტყვიერების ახალი კათედრა მოსკოვის უნივერსიტეტში.—მისი მნიშვნელობა და ბ-ნი ალ. ხახანაშვილი.—ქართული საღამოები.—საღამოების ნაკლი და გამგეთა უთავ-ბოლობა.—უცხო საზოგადოებას ქართული მუსიკა დაუმახინჯებლად უნდა გავაცნოთ.

ქართულ ისტორიის და ქართულ სიტყვიერების ისტორიის კათედრა დღემდის მხოლოდ პეტერბურგის უნივერსიტეტში და მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტში არსებობდა. პირველ ენკენისთვიდგან—როგორც მკითხველებს უკვე მოეხსნება—მოსკოვის უნივერსიტეტმაც დაუთმო კათედრა ჩვენს სიტყვიერებას. გარდა ამისა, ასეთ კათედრის დაარსებას პეტერბურგის სასულიერო აკადემიაშიც მოველით მომავალ პირველ ენკენისთვიდგან. ამ კათედრის დაარსებას თვით მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ფლაბიანე სცდილობს. ეს მოვლენა ჩვენთვის მეტად და მეტად საყურადღებოა ყოველმხრივ. საზოგადოდ სპეციალურ კათედრას უმაღლეს სასწავლებელში ყველგან დიდი სარგებლობა მოაქვს. გადახედეთ ამა თუ იმ დარგს მეცნიერებისას, დააკვირდით კარგად და დაინახავთ, რომ ყოველივე ახალი გამოგონება, ყოველივე ახალის აზრის ბეჭდვითი გამოქვეყნება, სხვა-და-სხვა საგნების ისტორიულად სავსებით გამოკვლევა-გარჩევა და ყოველივე ეს მომხდარა იმ ვაჟბატონების წყალობით, რომელთაც სხვა-და სხვა უნივერსიტეტებში საკუთარი კათედრა აქვთ. კათედრის დაარსება ჰქმნის ისეთ საუცხოვო პირობებს, რომ პროფესსორი მეტად ადვილად აღწევს ყველასთვის სასურველ საგანს: დრო, ქონებრივი მდგომარეობა, ყოველგვარი საშუალება, მდიდარი წიგნთ-საცავები და მსმენელები. უკანასკნელთათვის ამზადებს პროფესორი ლექციებს, არკვევს ამა თუ იმ აზრს და ამავე დროს ამდიდრებს ლიტერატურას, მეცნიერებას. ამ აზრს ამართლებენ ათასგვარი ნამოქმედარი სხვა-და-სხვა პროფესსორთა: ვირხოვისა, მეჩნიკოვისა, თარხნიშვილისა, გეგელისა და სხვა და სხვა. სხვა პირობებში მყოფს ადამიანს დიდის გაჭირვებით შეუძლიან შექმნას ის, რაც პროფესსორისთვის (რასაკვირველია, თუ კათედრა აქვს) ადვილი მისაწდევნია. შევეხოთ ჩვენ პროფესსორთა ნაშრომს. რომელმა სპეციალისტმა დასწერა ისეთი ვრცელნი თხზულებანი ღვინო, რძის, ვაზის და სხვა საგნების შესახებ, როგორც ბ-ნმა ვასილ პეტრიაშვილმა? ვინ შეადგინა ჩვენში ისეთი ვეებერთელა ლექსიკონები, როგორიც დავიტოვა განსვენებულმა პროფესსორმა ჩუბინაშვილმა? ვინ შეეხო ვრცლად პალესტინაში ქართულ კითხვებს და სხვ. საგნებს—როგორც პროფესსორ ცაგარელმა ჰქმნა? ვინ შეადგინა, ან ადგენს ისეთ საყურადღებო ვრცელ ქართულ სიტყვიერების ისტორიას—როგორც პროფესსორმა ხახანაშვილმა? არავინ. ამათ ნაშრომში ჩვენ შეუძლებელს არას ვხედავთ, მაგრამ კიდევ ვიმეორებთ—ყოველივე ეს ადვილი შესასრულებელია იმ შემთხვევაში, როდესაც მოღვაწეს უნივერსიტეტის კათედრა აქვს ჩაბარებული და სპეციალურად იძიებს საგანს. მხოლოდ ასეთ კათედრის წყალობით ამდიდრებს დღითი-დღე ბ-ნი ხახანაშვილი თავისის ნაწარმოებით ჩვენს ლიტერატურას, მხოლოდ ასეთ კათედრის წყალობით ესწრება იგი სხვა-და-სხვა კონგრესებს უცხოეთში და რუსეთში და აცნობს უცხოთ ჩვენ წარსულსა და დღევანდელ მდგომარეობას. ამიტომ უნდა გვიხაროდეს მოსკოვის უნივერსიტეტში ქართულ სიტყვიერების კათედრის დაარსება მით უფრო, რომ პროფესორად მიწვეულია უკვე ცნობილი მხნე და დაუღალავი მოღვაწე ახალგაზრდა პროფესორი ალ. ხახანაშვილი, რომელსაც სულითა და გულით ვულოცავთ ასეთ ახალ შეძენას და ვუსურვებთ ამ ახალ სარბიელზეც ისეთი ნაყოფი მოეტანოს, როგორიც ლაზარევის ინსტიტუტში მეცადინეობით შეგვძინა; ამისთვის ახალგაზდა პროფესორს ძალაც შესწევს, ცოდნაც და შრომის მოყვარეობაც.—

ეხლა დავუბრუნდებით ისევ ქართველ სტუდენტობას და იმათ „ქართულ საღამოებს", რადგან ამ ჟამად რუსეთის სხვა-და სხვა უნივერსიტეტის ქალაქებში მყოფი ქართველი მოსწავლენი ასეთ საღამოს გამართვასა ჰფიქრობენ. „ქართული საღამო" რუსეთში მყოფ ახალგაზდობისათვის ერთად-ერთ საიმედო და საგრძნობელ ქონებრივ წყაროს წარმოადგენს, ასეთ საღამოს წყალობით აქაურ ახალგაზრდობას (ამა თუ იმ ქალაქში) ათას მანეთამდის თანხა ემატება, ამიტომაც სცდილობენ ყოველ წლივ საღამოს გამართვას, მაგრამ საკითხი ის არის—როგორ იმმართება ეს საღამოები, რას აქცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავად. საზოგადოებას განზრახვა აქვს გამოფენა ან ალექსანდრესა და ან საბაღოსნო სკოლის ეზოში გამართოს.

⁂ დღეს, 2 ნოემბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში საღამოს 8 საათზედ კრება ექმნება ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიას, რომელზედაც განხილულ იქმნება შემდეგი საგნები: 1) როგორ უნდა განხორციელდეს განსვენებულ ნ. ი. შიოევის ანდერძი; 2) ხარჯთაღრიცხვა ქალაქის ხარჯით დაარსებულ პირველ დაწყებით სკოლებისა; 3) წინადადება ქალაქის გამგეობისა ერთის საქმის მწარმოებლის თანამდებობის დაარსების შესახებ, რომელსაც წელიწადში 600 მან. ექმნება ჯამაგირად; 4) შუამდგომლობა ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორისა ამ სასწავლებლის შენობის გაფართოვების შესახებ; 5) განცხადება ავლაბრის პირველ დაწყებით სკოლის გამგის წულუკიძისა სასწავლებლის სადგომის უვარგისობის შესახებ; 6) ქალაქის საბჭოს წინადადება სახელოსნო სასწავლებელში დირექტორ დანილოვის დროს დაკარგულ ქვა-ნახშირის გამო საქმის განხილვის შესახებ და სხ.

⁂ ქალაქის გამგეობაში უკვე შესდგა კომისია, რომელსაც დავალებული აქვს გამგეობაში მოსამსახურეთათვის დამატებით ჯამაგირების წესის შემუშავება. ამ კომისიის წევრებად არიან ქალაქის მდივანი სტ. ფ. ჭრელაშვილი, სამკურნალო სასანიტარო ინსპექტორი გ. ნ. სტეფანოვი, ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსი ზედამხედველი ა. გ. ჯაბადარი, ი. ა. ტერ-სარქისოვი, ი. დ. ლისიცევი, ა. ი. ოჰანეზოვი და ქალაქის სკოლების გამგენი. კომისიას კრება ექმნება შაბათს, 4 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ.

⁂ გზათა სამინისტრო აცხადებს: რადგანაც ამ ბოლოს დროს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ საქონლისა და სახალხო მატარებლების მიმოსვლის საქმეში უწესოებამ იჩინა თავი და რადგანაც საჭირო შეიქმნა დაწამდვილებითი ცნობები მუშაობათა შესახებ კავკასიის ახალ რკინის გზის შტოებზედ, აგრეთვე ცნობები გზა-ტკეცილების მდგომარეობის შესახებ, გზათა სამინისტრო ჰგზავნის კავკასიაში, რკინის გზათა ინსპექტორის ინჟენერის გორჩაკოვის თავმჯდომარეობით, განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც შესდგება: ინჟენერების იოლშინისა, ორლოვსკისა და სიმბერგისაგან. ეს კომისია კავკასიაში მიდის ყოველის მხრივ გასაცნობად საქმის ვითარებისა რკინის გზებსა და შარა გზებზედ, რათა შეკრებილ ცნობებით ისარგებლოს სამინისტრომ და ისეთი ზომები მიიღოს, რომელნიც საუკესოდ იქმნება ცნობილი.

ეს კომისია უკვე შესდგომია მუშაობას.

⁂ როგორც რუსულ გაზეთებს ატყობინებენ პეტერბურგიდგან, აზრადა აქვთ კავკასიაში საგუბერნიო ბეითალის თანაშემწეთა თანამდებობანი დააწესონ.

⁂ „ახ. მიმ." ქუთაისიდგან სწერენ: „შაბათს, 28 ოქტომბერს, საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში, თავ. პ. ა. თუმანიშვილის თავმჯდომარეობით, სამეურნეო საზოგადოების „კოლხიდის" წევრთა საზოგადო კრება მოხდა. გამგეობის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ბ. ბ. ლორთქიფანიძე, ჯაფარიძე, ვ. თუმანიშვილი, კოპეშავიძე, ლალიძე; მათ კანდიდატებად ბ. ბ. ბექანეიშვილი, კვიტაშვილი და ჭიჭინაძე; ხოლო სარევიზიო კომისიის წევრებად ხმის უმეტესობით: ბ-ნნი ძოწენიძე, გოცირიძე და პურადაშვილი. ჯერ-ჯერობით ამხანაგობა აპირებს ერთ-ერთ ადგილობრივ საკრედიტო დაწესებულებაში სესხის აღებასა და მით უძრავ საკუთრების შეძენას."

⁂ გორის ქალაქის თვით მმართველობას შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ეპატიოს ქალაქს ხაზინისათვის გადასაცემად დანიშნული 10,152 მანეთი იმ ხარჯის დასაფარავად, რომელიც საინტენდანტო უწყებამ გორში მყოფ ჯარის აფიცერთა და სხვა მოხელეთა ბინების დაქირავებას მოანდომა 1895 წლიდგან 1898 წლამდე.

⁂ 31 ოქტომბერს გორში წავიდა ტფილისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილების განსაკუთრებული სესსია, რომელმაც იქ სამიჯნაო საქმეები უნდა განიხილოს. სესსია გორში 15 ნოემბრამდე დაჰყოფს და განიხილავს სამ საქმეს. ერთის საქმის გამო 600 დავაა ატეხილი; დაბარებული ყოფილა 326 კაცი.

⁂ როგორც „კავკასი" გადმოგვცემს, ბათუმის ქალაქის თვით-მმართველობას შეუმუშავებია პროექტი „ცეცხლისაგან ქონების ურთ-ერთ დამზღვევ ბათუმის საზოგადოების" წესდებისა და წარუდგენია მთავრობისათვის დასამტკიცებლად.

⁂ სამხედრო-სამკურნალო ლაბორატორიასთან არსებული განსაკუთრებული კომისია ნატახტარის წყაროების გამოკვლევას განაგრძობს. კომისიის მუშაობა მომავალ გაზაფხულამდის გასტანს.

⁂ როგორც „ახ. მიმ."-ს გაუგია, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიაში თავისი მოხელე ბ-ნი ლებედევი გამოუგზავნია ადგილობრივ მეღვინეობისა და მევენახეობის შესასწავლად და იმ საშუალებათა გამოსარკვევად, რომელთა წყალობით შესაძლებელი იქმნება მეღვინეობისა და მევენახეობის გაუმჯობესება.

⁂ ამ დღეებში ქალაქის გამგეობა განიხილავს უსახელო საზოგადოების დირექტორის ბ-ნ რობის პასუხს იმის შესახებ, რომ ქალაქმა უსახელო საზოგადოებისაგან ქალაქის ქუჩების მოსაკირწყლავად 600,000 მან. ავანსად მიღების უფლება დაჰკარგა. ქალაქის მოურავის აზრით, ამ ფულს უსახელო საზოგადოება მისცემს, თუ ქალაქი გაადიდებს ხელ-შეკრულობაში აღნიშნულ პროცენტებს დღევანდელ ფულის ბაზრის დაგვარად, რათა უსახელო საზოგადოებას ზარალი არ მოუვიდეს.

⁂ როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ქალაქის გამგეობას აზრადა აქვს გააფართოვოს ქალაქის ბაზრები. გამგეობის მდივანს ს. ჭრელაშვილს ამის შესახებ საყურადღებო ცნობები შეუკრებია, საიდგანაც სჩანს, რომ იარმუკის გასაფართოებლად ქალაქისათვის სასარგებლო არ არის თავ. კ. ი. მუხრან-ბატონისა და საეკკლესიო უწყების მამულისა შეძენა, რადგანაც პატრონთ ამ მამულებში 1.500,000 მან. მოუთხოვნიათ. ამის გამო ჰფიქრობენ სავაჭრო ადგილი მადათოვის კუნძულის ქვემო ნაწილში გამართონ. პროექტი ამისა უკვე შედგენილია.

⁂ ტფილისის საგუბერნიო მმართველობამ შუამდგომლობა აღძრა ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობასთან იმის შესახებ, რომ აბასთუმნის ნაწილში ქალაქს ერთი ნაჭერი მიწა დაუთმოს მკვდარ საქონლის დასაფლობად.

⁂ ქ. ფოთი. ადგილობრივის დედათა სასწავლებლის სასარგებლოდ 26-ს ოქტომბერს საბჭოს დარბაზში ახლად შემდგარის ქართველ ვაჟთა მგალობელთა გუნდის მიერ კონცერტი იქმნა გამართული. გუნდს ბ-ნი ა. მეგრელიძე ლოტბარობდა, რომელმაც სულ მცირე ხნის განმავლობაში იმდენად მოამზადა ხორო და შეასწავლა, უმეტესად ქართლ-იმერული და სვანური სიმღერები, რომ ამ კონცერტმა თითქმის მთელი ფოთის საზოგადოება მიიზიდა; კონცერტმა კარგად ჩაიარა. გუნდმა შეასრულა სულ თექვსმეტიოდე სიმღერა. მართალია, მოწყობილება (სცენა და ფარდა არა ყოფილა) ხელს არ უწყობდა მომღერალთა გუნდს, მაგრამ საზოგადოება მაინც კმაყოფილი დარჩა და ტაშის ცემითა და ვაშას ძახილით დააჯილდოვა. კონცერტზე, გარდა ქართველ მომღერალთა, მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნი ეფრემოვისა, რომელმაც როიალზედ დაუკრა და ბ-ნი ვლ. შათვათავა, რომელმაც ორი სიმღერა შეასრულა რუსულ ენაზედ. იმედია, მალე ეს ახლად შემდგარი გუნდი უკედ მოემზადება და ფოთელებს კიდევ მისცემს საშუალებას სამშობლო ხმები სცენიდგან გაიგონონ. კონცერტის შემდეგ იქმნა გამართული საცეკვაო საღამო, რომელმაც ღამის სამ საათამდე გასტანა.

⁂ ორშაბათს, 30 ოქტომბერს, პოლიციის მე 6 ნაწილში, ვორონცოვის ქუჩაზედ, ორთაჭალის ცხენის რკინის გზის ვაგონი წამოეწია სპარსეთის ქვეშევრდომს შიხ-ალი-ნაზარა-ოღლს, რომელიც ვაგონ ქვეშ მოჰყვა და ძალიან მძიმედ დაშავდა. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში იქმნა გაგზავნილი.

⁂ კვირას, 29 ოქტომბერს, ღამე პოლიციის მე-8 ნაწილში ვიღაც ბოროტ-განმზრახველს გაუტეხია დე სიმონოვის მოედანზედ ივანე დეზინის მაღაზია, საიდგანაც 150 მ. საღირალი ნივთები წაუღია. პოლიციამ უკვე შეიპყრო დამნაშავე, რომელიც აღმოჩნდა ქ. სიღნაღის მცხოვრებელი იოსებ მარენგულოვი, რომელიც ის იყო შინ მიდიოდა. მარენგულოვი პასუხის გებაშია მიცემული.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. კახი** (საინგილო). „ამისთანა წელიწადი წავიდეს და აღარ მოვიდესო", იძახის გულჩათუთქული ინგილო გლეხი. ღვინის მოსავლის გარდა აბრეშუმის პარკმა და ბრინჯის მოსავალმაც გვიტყუნა. მართალია, თხილისა და წაბლის მოსავალი კარგი იყო, მაგრამ ამისი შემოსავალი ოჯახის წვრილმანს ხარჯებსაც ვერ გაისტუმრებს. პურის მოსავალიც წელს ნაკლებადაა. ფუთი ხორბალი 1 მ. 20 კ.—1 მ. 40 კ. ფასობს, ქერი 50 კ.—55 კ. შარშან პურის მოუსავლიანობამ შეგვავიწროვა და პურის სეიდვამ გაგვანადგურა, წრეულს კიდევ უღვინობა გვაწუხებსო; ეს ოთხი წელიწადია, რაც ღმერთმა ჩვენზედ ხელი აიღო და მოსავალი არ მოგვცდისო", ამბობენ ინგილოები. ვედრო ღვინო, რომელიც შარშან 80 კ.—1 მანეთამდე იყიდებოდა, წელს 3 მანეთად ვერც-კი იშოვება და, თუ იშოვეთ, სიმჟავით ვერ დაილევა. ბევრს მემამულეს საზედაშე ღვინოც-კი არ მოუსვლია. დიდრონ-დიდრონი ქვევრები ღვინის მაგივრად წვიმის წყლით ივსება, რომლებშიაც ბაყაყები დაცურავენ. შარშან ამ დროს სოფელს რაღაც სიმხიარულე ეტყობოდა, წრეულს-კი, თითქოს სადაცაა ძილს მისცემიაო, არსაიდგან არც „მრავალ-ჟამიერისა" და არც „გაუმარჯოს ჩვენ საქართველოს" ხმა არ ისმის, რაიცა მსუქან შემოდგომის განუყრელი თვისებაა. რა თქმა უნდა, წირგებიც და ქორწილებიც ნაკლებად არის წელს. აბრეშუმის პარკი ფუთი 9 მ.—14 მანეთამდე ფასობდა, მაგრამ რა გამოვიდა, ინგილო გლეხი „აქაურ ვაჭრებს" ისე ჭყუავთ დაბოჭილი, რომ აბრეშუმის პარკები მარგალიტებად იქცეს, მაინც იგი ვაჭრების უჯუველს ვალს ვერ გადაიხდის და ისევ მათ მონად დარჩება. ბრინჯმაც ხეირიანი თავი ვერ გაიკეთა და აოდა. „ღვთის მუშაკმა" ფუტკარმაც გვიღალატა და დიდი ვერ აიღო; თითონაც რაღაც ავადმყოფობა ემჩნევა. კაკლის მოსავალიც ძალიან ნაკლებად არის.

მასწავლებელი გ. ფარადაშვილი

---

ვენ გამგენი ყურადღებას და რა უნდა კეთდებოდეს. მე მართალი მოგახსენოთ — შარშანდელ პეტერბურგის საღამოს თუ მივიღებთ მხედველობაში — „Грузинскій вечеръ"-ის სახელს არ დავარქმევდი ასეთ საღამოებს. შარშანდელი პეტერბურგის საღამო მეტად სამწუხარო მაგალითს წარმოადგენს. რამდენი ხანია იმართებოდა პეტერბურგში ქართული საღამოები (რუსეთში პირველად პეტერბურგს გაიმართა ქართული საღამო), ყოველთვის ამართლებდა დანიშნულებას, აღწევდა ცოტად თუ მეტად აზრს, საზოგადოება კმაყოფილი იყო და „ქართულ საღამოს" ქართული ელფერიც ჰქონდა. შარშან-კი „ქართული საღამო" პეტერბურგში მხოლოდ განცხადებაში იყო და არა თვით დაქირავებულ დარბაზში; ამ სადგომში ჰხედავთ ქართულ მოწყობილებას, ჩვენებურად ჩაცმულ ვაჟ-ბატონებს, მაგრამ ის მაცოცხლებელი ელემენტი, რომელიც საღამოს ქართულ საღამოდ ჰქმნის, არა სუფევდა. რად მოხდა ეს, ალლახმა უწყის. საზოგადოდ ქართულ საღამოებს რუსეთში ასულდგმულებს ბ-ნი მელიტონ ბალანჩივაძე, რომელმაც ამ ბოლოს დროს ბევრი ახალი რამ შექმნა. ბ-ნი ბალანჩივაძე და ქართული საღამო ურთი-ერთთან ისე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი, რომ იმათი დაშორება და ისე ქართულ საღამოს გამართვა, რაღაც სამწუხარო რასმე წარმოადგენს, რაიც შარშან პეტერბურგში მყოფმა ახალგაზრდობამ შექმნა. ამ არა-სასიამოვნო მოვლენის მიზეზი თვით პეტერბურგელებს შეუქმნია, რადგანაც ბ-ნი ბალანჩივაძე არ მიუწვევიათ.

მეორე გვარი საყვედურითაც უნდა მივმართოთ რუსეთში მყოფ ახალგაზრდობას. ძალიან ხშირად ქართულ საღამოებზე საუცხოვო ქართულ სიმღერა-რომანსებს ისეთ ქალბატონებს ამღერებენ, რომ მართალი მოგახსენოთ, იმათ არა თუ ნაზ კილოს და „თამარ ცბიერის" რომელსამე ადგილს გადავცემ სასიმღეროდ, უბრალო რუსულ „Жилъ былъ у бабушки"-საც არ გავიმეტებ იმათთვის. ამის საუცხოვო დამასურათებელ მაგალითად შარშანდელი კიევის ქართული საღამო კმარა. ბ-ნ მელიტონ ბალანჩივაძემ დადგა ერთი ადგილი ახალ ოპერიდგან „თამარ ცბიერი", სადაც ორკესტრთან და ხოროსთან ერთად ქალის სოლოა. ბ-ნ ბალანჩივაძის სასახელოდ უნდა ვთქვათ, რომ ეს სცენა მომხიბვლელ რასმე წარმოადგენს, მაგრამ კიევის საღამოზედ მოპატიჟებულ ქ-ნმა ეს სურათი ერთიანად დამარხა, მეორე ცალკე სიმღერა-რომანსსაც არ დააყენა უმჯობესი დღე. ყველა ამის დამატკიცებელ საბუთს საზოგადოების სახეზედ იპოვიდით. სიმღერა მუსიკის მცოდნენი ამბობდნენ: „მშვენიერი მუსიკა და სცენაა, მაგრამ ეს ვინ მოგიწვევიათო" და სხვ. რასაკვირველია, ასეთს ნაკლს სხვა მომღერალნი აქრობდნენ, მაგრამ ეს ამბავი მაინც ამბად დარჩა. ყოველივე ეს ხდება იმ გარემოების წყალობით, რომ საღამოს გამგენი მეტად გვიან იწყებენ მონაწილეობის მიმღებთა მოპატიჟებას, ძებნას. ხშირად უკანასკნელ დღესაც მიმართავენ ხოლმე ვისმე, — ეს ნამეტანი სითამამეა. არ დათანხმდა ანი, მირბიან ხანთან, არ დათანხმდა იგი, იწვევენ განს, მიუხედავად იმისა, რამდენად შეუძლიან ამას თუ იმას საზოგადოების დაკმაყოფილება, რომელიც სიამოვნებას ითხოვს. უმჯობესი არ არის ეს თუ ის ნომერი სულ გამოიტოვოს პროგრამიდგან, ვიდრე საზოგადოების სმენა დავტანჯოთ და ჩვენებური სასიამოვნო რომანსი დავმარხოთ. კარგის უქონლობამ გლახა არ უნდა მოგვაპატიჟებინოს. თუ წინდაწინვე ადრე შეუდგებიან საღამოისთვის მზადებას, მერწმუნეთ, ყოველსავე ნაკლს აიშორებენ: ყველა კარგი მომღერალი მომზადებისათვის დროს ითხოვს, განსაკუთრებით ხორო და ორკესტრი, რომელთაც ჩვენებური კილოსი იმდენი ესმით, რამდენიც ჩინეთის ბოგდიხანისა და რომელთა ასრულება წარსულ საღამოებზედ ბევრს სანატრელ შესწორებას მოგვაგონებდა. მართალია, საქველმოქმედო საღამოს ბევრს არავინ არა სთხოვს, მაგრამ ჩვენთვის განა ამ მხრივ არის საინტერესო ქართული საღამო? არა, ბატონო! ჩვენ ერთ და იმავე დროს ორის საგნის განხორციელებასა ვცდილობთ: ვპოულობთ ქონებრივ დახმარებას და ვაცნობთ უცხო საზოგადოებას ქართულ მუსიკას. ამ გარემოებას საღამოს გამგენი, სამწუხაროდ, მეტად მცირე ყურადღებას აქცევენ, ასეთი ქცევა-კი ცოდვაზედ ცოდვაა და სირცხვილია.

საღამოს გამართვამდის ჯერ კიდევ ბევრი დრო დარჩენიათ როგორც პეტერბურგის ქართველებს, აგრეთვე სხვებსაც. ამიტომ სასურველია წარსულ ნაკლულევანების ასაცილებლად დაივიწყონ ძველებურის მოქმედების გეგმა, აგრეთვე შეუდგნენ საქმეს და ეცადნენ ქართულ საღამოს ქართული ელფერი მისცენ და საზოგადოებას გააცნონ ქართული მუსიკა დაუმახინჯებლად კარგ მომღერალთა წყალობით.

მალაქია ბოლქვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთი

—

როგორც ვუწყით, რკინის გზის მატარებლებზედ განსაკუთრებული ვაგონებია ქალთათვის. ამ ვაგონებში თამბაქოს წევა აღკრძალულია, მაგრამ ამისდა მიუხედავად ხშირად ზოგიერთი ქალები ამ ვაგონებში თამბაქოს მაინც სწევენ ხოლმე. რადგანაც ასეთი ვაგონები მხოლოდ იმ ქალებისათვის არის დანიშნული, რომელნიც თამბაქოს არა სწევენ, რკინის გზის მთავრობამ განკარგულება მოახდინა, ქალთა ვაგონებში არ შეუშვან ხოლმე ის მანდილოსანნი, რომელნიც თამბაქოსა სწევენ.

— მომავალის წლიდგან პეტერბურგის უნივერსიტეტში არსდება ახალი კათედრა ალკოჰოლიზმის შესასწავლად. ამას გარდა საექსპერიმენტალო მკურნალობის ინსტიტუტში არსდება განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს და შეისწავლოს ის, თუ ალკოჰოლს რა გავლენა აქვს ცხოველისა და ადამიანის ორგანიზმზედ. სამხედრო სამკურნალო აკადემიაში კიდევ გაიმართება ახალი კლინიკა ალკოჰოლიკების სამკურნალოდ. კლინიკის გამგედ დანიშნული იქმნება პროფესორი ვ. მ. ბეხტერევი.

— რადგანაც შორეულ აღმოსავლეთში მომხდარმა ამბებმა დიდი ხარჯი გამოიწვიეს, მომავალ წლისთვის საერო განათლების სამინისტროს ხაზინიდგან ნაკლები ფული მიეცემა, ვიდრე განზრახული იყო. სამინისტრო 1901 წელს ახალის სკოლების დაარსებისათვის მხოლოდ 100,000 მანეთსა თხოულობს. სულ-კი სამინისტრო 1901 წელს დახარჯავს $35\frac{1}{2}$ მილიონ მანათს სწავლა-განათლებაზედ.

— მოსკოვში არსდება სრულიად რუსეთის სათეატრო ამხანაგობა. ძირის თანხად ამხანაგობას 1 მილიონი მანეთი ექმნება. მოსკოველმა კაპიტალისტმა სოლოდოვნიკოვმა ამ საქმისათვის 100 ათასი მანეთი გადასდო.

— როგორც ფინანსთა სამინისტროს მიერ შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, 1899 წელს მთელს იმპერიაში შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა და კასსა ყოფილა 634, საკრედიტო ამხანაგობა — 11 და სასოფლო ბანკი — 488.

# უცხოეთი

—

**ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები** და ახალი პრეზიდენტი მაკ-კინ-ლეი. მაკ-კინლეი პირველად პრეზიდენტად 1896 წ. ამოირჩეს, მაგრამ იგი ამ დრომდესაც საკმაოდ ცნობილი იყო, როგორც საპოლიტიკო მოღვაწე. 1877 წ. მაკ-კინლეი კონგრესში იქმნა არჩეული და რესპუბლიკელთა დასის მეთაურად გახდა. 1890 წ. მაკ-კინლეიმ საქვეყნო სახელი მოიხვეჭა ეგრედ წოდებულის Mack Kinley Bill-ის წარდგენით, რომელსაც ავტორისავე სახელი ეწოდა. ამ ბილის ძალით პრეზიდენტს უფლება ეძლევა, საპოლიტიკო თუ სხვა რამ მოსაზრებით, ზოგიერთა ქვეყნისათვის გარდასახადს მოუმატოს ან დაუკლოს. ამ გარემოებამ ამერიკას საშუალება მისცა ევროპის სახელმწიფოებთან საკონვენციო და სეპარატიული შეთანხმებანი მოეპოვებინა და მოესპო ეგრედ წოდებული ერთად ერთი საავტონომო ტარიფი. მაკ-კინლეის ტარიფმა დემოკრატთა დასში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რომელმაც გაიმარჯვა კიდეც 1890 წ. და 1892 წ. პრეზიდენტად თავისი მომხრე კლეველენდი ამოირჩია. მაგრამ დემოკრატთა გამარჯვება მხოლოდ დროებითი იყო და მაკ-კინლეის მომხრე რესპუბლიკელთა დასი დღითი დღე იზრდებოდა. ამის გამო 1896 წ. პრეზიდენტად მაკ-კინლეი იქმნა არჩეული, რომელსაც ახლა მეორედ ირჩევენ. ამჟამად პრეზიდენტი 56 წლისაა და ამის გამო ახალის ვადის შემდეგ, რომელიც 1904 წ. შეუსრულდება, კვლავ პრეზიდენტობის არჩევანზედ კანდიდატობის უფლება აღარ ექმნება.

როგორც ჩვეულებრივ, ამ წელსაც ბევრს ამერიკულს უცნაურობასა და თავისებურობას იუწყებიან გაზეთები პრეზიდენტის არჩევნების შესახებ. კარგია კიდევ არჩევნები დროზედ გათავდა, თორემ არც ორატორებსა და არც საარჩევნო აგენტებს ძალა აღარ შესწევდათ, რომ ხმა ამოეღოთ, რადგანაც ხანგრძლივის აგიტაციის გამო ნერვები მთლად მოეშალათ და გახრიწნანდნენო. ბრაიანს ბოლოს დროს თან მუდამ მკურნალი თურმე დასდევდა, რადგანაც მეგობრებს ეშინოდათ გულის დამბლა არ დაჰმართებოდა: იგი, როგორც კარგი ცხენი, ისე თურმე დააჭენებდა ამერიკის სხვა-და სხვა კუთხეში და დღეში, სულ უკანასკნელს, ათს სიტყვას ამბობდა, რომ მომხრეები ბლომად მოეპოვებინა. მართალია, საარჩევნო აგენტი რუზველტი ბრაიანზედ ნაკლებს ლაპარაკობდაო, — სწერენ გაზეთები, — მაგრამ ხმა სულმთლად წაერთვა და ძლივს და ხაოდა, რადგანაც ლაპარაკი ერთთავად მოწინააღმდეგე ხალხთანა ჰქონდა და ამისათვის ხშირად დიდი ძალის დატანება სჭირდა, რომ მოწინააღმდეგენი ჩაეჩუმებინა, ამათზედ მეტი ეყვირნათ. საპრალოს ნერვები კინაღამ მთლად დასწყვეტია. ამბობენ, ორი აგენტი კიდევ — ერთი რესპუბლიკელი და ერთი დემოკრატი — საარჩევნო ციებ ცხელებამ და დაღლილობამ ინაცვალაო.

სხვათა შორის, „K. Hart. Ztg.“-ში შემდეგი ამბავია დაბეჭდილი არჩევნების შესახებ: ფილადელფიის ერთს საარჩევნო ოლქში მთელი არეულობა მოხდა. მეორე ადგილას შავ-კანიანთა ბრბომ ძალით ისურვა არჩევნებში მონაწილეობის მიღება და საარჩევნო ბიურო კინაღამ მთლად მილეწ-მოლეწა. როდესაც შავ-კანიანებს გარეკვა დაუპირეს, ამათ რევოლვერებს თურმე იკრეს ხელი და სროლა დაუწყეს. საარჩევნო მოსამართლედ განთქმული მოკრივე იყო ამორჩეული, რომელიც ტყვიით იქმნა თავში დაჭრილი. ვილმინგტონში შავ-კანიანთა ბრბო იმან გაამხეცა, რომ საარჩევნო ბიურო თავისს დროზედ ვერ გახსნეს. შავ-კანიანებმა თეთრ კანიანებთან ერთად ძალით შეამტვრიეს, ყოველისფერი მილეწ მოლეწეს და შიგ მეცადინე ხალხი დასჭრეს. სხვა-და-სხვა ადგილას კიდევ რამდენიმე კაცი მოჰკლეს და მრავალი დასჭრესო.

აი, სულით და გულით საქმეში მონაწილეობის მიღებაც სწორედ ამასა ჰქვიან.

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ინგლისელები ომის შესახებ ცნობებს თავისს დროზედ არასოდეს არ იუწყებიან და, როცა რამეს აქვეყნებენ, ამასაც გამოზოგვითა და ფრთხილად, მაგრამ იგიც საკმარია, რომ მოუსყიდველმა თვალყურის მადევნებელმა სამართლიანი აზრი გამოიტანოს იმის შესახებ, რამდენად მედგრადა და გმირულად იბრძვიან ბურები და ინგლისელებს რა ზარალი მოსდით. „Frankt. Ztg.“-ი აი, რას იუწყება: უკანასკნელის ოფიციალურის ცნობებით, რომელსაც ინგლისის სამხედრო სამინისტრო აქვეყნებს ხოლმე თვეში ერთხელ, ოქტომბრის დამლევამდე ინგლისელებს სამხრეთ აფრიკაში დაუკარგავთ და დასჭრიათ 46,026 კაცი. სხვა-და-სხვა დროს ბრძოლაში მოუკლავთ: 102 ოფიცერი და 2,902 ჯარის-კაცი; ჭრილობის-გან დახოცილან: 89 ოფიცერი და 893 ჯარის-კაცი; სხვა-და სხვა ავადმყოფობისაგან დახოცილან: 158 ოფიცერი და 6,205 ჯარის-კაცი: სხვა-და-სხვა უბედურობის დროს — 4 ოფიცერი და 145 ჯარის-კაცი. სულ-კი ერთად ინგლისელებს დაჰხოცვიათ: 553 ოფიცერი და 10,145 ჯარის კაცი. დაკარგულებად და ტყვეებად ითვლება: 7 ოფიცერი და 822 ჯარის-კაცი. სამშობლოში გაუგზავნიათ დაჭრილი: 1,422 ოფიცერი და 33,077 ჯარის-კაცი.

ერთი სიტყვით, ბურებს იმდენივე ზიანი მიუყენებიათ ინგლისელებისათვის, რამდენი ჯარიც ომის დაწყებისასა ჰყვანდათ.

თანაგრძნობას ხომ ბურებისადმი ევროპის სხვა-და-სხვა ერის მხრივ საზღვარი არა აქვს. აი, ერთი თვალსაჩინო მაგალითიც ამ თანაგრძნობისა. მოგეხსენებათ პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ, სხვათა შორის, ბურების რესპუბლიკის პავილიონიც იყო გამართული. დამთვალიერებელ ხალხის ბურებისადმი თანაგრძნობასა და ინგლისის წინააღმდეგ მანიფესტაციებს თავისუფალი მთავრობა საფრანგეთისა იქამდის მიუყვანიათ, რომ აღნიშნული პავილიონი სრულიად დაუხურიათ. ამის შესახებ „Daily News“-ის კორესპონდენტი აი რას იწერება: „ტრანსვაალის პავილიონში ექ(?)პრეზიდენტის კრიუგერის ბიუსტი იდგა, რომელიც მოხუცს დომს წააგავდა. ბიუსტის გარშემო აუარებელი ყვავილები ეწყო, როგორც ხან-და-ხან, მაგალითად, სტრასბურგის ქანდაკებას (თანხმობის მოედანზეა პარიჟში) შეამკობენ ხოლმე. პავილიონის ყველა კედლები მიწერილი სიტყვებით სავსე იყო, თითქოს „შეუვარებულთა ხეაო“. მიწერილის სიტყვებით შეურაცხ ჰყოფდნენ დიდს ბრიტანიას, ინგლისის დედოფალს, ახალშენთა მინისტრს ჩემბერლენს და სხ. საფრანგეთის პოლიციამ მხატვრები გაგზავნა, რომ კედლებზედ წარწერები წაეშალათ და ახლად შეეღებნათ, მაგრამ ტრანსვაალის აგენტმა ბ-ნმა პირსონმა ამისი ნება არ მისცა. ახლა საფრანგეთის მთავრობის ბრძანებით პავილიონი სრულიად დაჰხურეს, პავილიონი ამ ჟამად ერთის ჰოლანდიელის (დორტრეხტიდგან არის) საკუთრებას შეადგენს, რომელსაც აზრადა აქვს, თუ რომ ტრანსვაალი დამოუკიდებლობას აღადგენს, საფრანგეთის მსოფლიო გამოფენის სახსოვრად საჩუქრად უძღვნას ბურებსა; წინააღმდეგს შემთხვევაში პავილიონს ჰოლანდიას უსაჩუქრებს, რომ ბურების ომის მუზეუმში მოათავსონო“.

**ისპანია.** ამ ბოლოს დროს კარლისტთა მოძრაობამ ისპანიაში კვლავ თავი იჩინა. ისპანიის ტახტის მაძიებელს დონ კარლოსს „ვენეციის გაზეთის“ ერთ კორესპონდენტთან შემდეგი უთქვამს: „ახალი კარლისტთა მოძრაობა ისპანიაში ჩემის სურვილის წინააღმდეგ არის დაწყებული და არავითარი ბრძანება მოძრაობის შესახებ არ მიმიცია. ეჭვი არ არის, ამ ჟამად კეთილ კარლისტთა მოუთმენლობაა დამნაშავე და ისპანიის სამწუხარო მდგომარეობამ აიძულა იგინი მოძრაობა დაეწყოთ. მოძრაობის დამწყებთა სახელები არ ვიცი ვინ არიან, და საეჭვოდ მიმაჩნია, ვინ იცის, იქნება კარლიზმთან არც კი რამ ჰქონდეს ამ მოძრაობას საერთო და სულ სხვა დაფარული აზრი ჰქონდეთო“.

დონ-კარლოსის სიტყვით, იმის გარდა, რომ იგი თავისს უფლებას ეძიებს, მოვალეა აგრეთვე ეწინააღმდეგოს ყოველგვარს მოქმედებას, რომელიც, სარგებლობის მაგივრად, მისი საქმის განვითარებას ხელს შეუშლიან. თავისის შეხედულების დასამტკიცებლად დონ-კარლოსს კასტილიასა, ვალენციასა, ნავარრასა და ბისკაის პროვინციებზედ მიუთითებია, სადაც ყველაზედ მეტი კარლისტია, მაგრამ ყველა ეს ადგილები დამშვიდებულები არიან.

—

საკონსტიტუციო შეღავათის გაუქმებამ თავისი ნაყოფი უკვე გამოიღო და მთავრობას საშუალება მისცა კარლისტთა წინააღმდეგ სასტიკი ღონისძიებანი ეხმარა. კარლისტთა კლუბები და გაზეთები ყველა დახურული იქმნა, მადრიდში მრავალი კარლისტი იქმნა დაპატიმრებული, დაპატიმრებულნი არიან აგრეთვე ვალენციასა, მარცელონასა, სარაგოსაში და სხ. როგორც დაპატიმრებულთა შორის აღმოჩენილ ქაღალდებიდგანა მტკიცდება, კარლისტთა დასი საკმაოდ კარგად ყოფილა მომზადებული, მაგრამ მთავრობას დროზედ შეუტევია. საქმე კატალონიის კარლისტების მოუთმენლობამ თურმე წაახდინა. ამბობენ, რომ ეპისკოპოსებმა პაპისაგან ბრძანება მიიღეს, მღვდლებს ამ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება სრულიად აუკრძალონო.

## თეატრის მატიანე

—

ოპერა.

სამშაბათს, 31 ოქტომბერს, მესამეჯერ იქმნა წარმოდგენილი რიმსკი კორსაკოვის ოთხ მოქმედებიანი ახალი ოპერა „Царская Невѣста“. ამისდა მიუხედავად, ხალხი ბლომად დაესწრო. საზოგადოდ ოპერამ მწყობრად ჩაიარა. მწყობრად ჩატარება-კი ოპერისა დამოკიდებულია არა მარტო არტისტებზე, არამედ თვით ოპერის ვოკალურსა და ინსტრუმენტალურს ღირსებაზედაც და ეს ოპერა სწორედ ამ ღირსებითაა შესანიშნავი და ამიტომაც იზიდავს ხალხსა. მოთამაშეთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ-ნ პაპაიანს, რომელიც წრევანდელს ოპერაში ძვირფას მარგალიტად უნდა ჩაითვალოს. რამდენადაც სხვები სუსტობდნენ თავის როლებში, იმდენად ქ. პაპაიანი მძლავრი და მომხიბლავი იყო თავისის პარტიის ხელოვნურის მღერით „მართას“ როლში. ზოგიერთი ადაგები რამდენჯერმე გაამეორებინეს. კარგი იყო აგრეთვე ბ. სიბირიაკოვიც „ნოვგოროდელ ვაჭრის“ როლში. ამ ოპერის სიუჟეტი მეთექვსმეტე საუკუნის ისტორიიდგან არის ამოღებული და იოანნე მრისხანეს მეფობის დროს გვიხატავს, როდესაც „ოპრიჩნიკობა“ იყო. სცენაზე დადგმული „სენაკი იოანნე მრისხანის სახლში“ და „ალექსანდრეს სლობოდის ქუჩა“ იმისთანა მშვენიერს სურათებს წარმოადგენდა, რომ მაყურებელი თვალს ვეღარ აშორებდა. ოპერის წარმოდგენას დაესწრო აგრეთვე კავკასიის მთავარმართებელი თავ. გოლიცინი.

ს.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

როგორც ერთი ნემეცური გაზეთი გადმოგვცემს, გეიდელბერგის ობსერვატორიის საფიზიკო განყოფილების დირექტორს პროფ. მაკს ვოლფს ექვსი ახალი პლანეტა აღმოუჩენია. მას შემდეგ, რაც პროფეს. ვოლფმა ფოტოგრაფია ვარსკვლავთ-მრიცხველობისათვის მოაწყო, ე. ი. 1891 წლის შემდეგ, მრავალი ახალი პლანეტა აღმოაჩინეს. დღემდე სულ 500-მდე წვრილი პლანეტა იქმნა აღმოჩენილი.

* * *

ბევრსა ჰგონია, რომ ჩინელებს სხვა სარწმუნოების ხალხი ძალიან ეჯავრებათ. ჰფიქრობენ, რომ ასეთს ხალხს იქ სდევნიან და აწვალებენო. ეს აზრი შემცდარია. ის გარემოება, რომ ამ ბოლოს დროს ჩინელები ჰხოცავენ და სდევნიან ქრისტიანებს, სულ სხვა მიზეზებით აიხსნება და არა იმით, რომ მათ სხვა სარწმუნოების ხალხი სძულთ. ამას წინად დაიბეჭდა საყურადღებო წიგნი არნოლდისა. ავტორი, რომელიც დიდხანს სცხოვრობდა ჩინეთში, ამტკიცებს, რომ ჩინელები ყოველთვის კარგად ექცეოდნენ სხვა სახელმწიფოების ხალხსაო. 1736 წელს, მაგალითად, ზოგიერთი მანდარინები ავიწროებდნენ შანსის პროვინციაში მცხოვრებ მაჰმადიანებს. აი, ამის გამო რა ედიქტით მიუმართავს იმპერატორს მანდარინებისათვის: „ჩვენს იმპერიის თითქმის ყოველ პროვინციაში ეს უკვე რამდენიმე საუკუნეა სცხოვრობენ მაჰმადიანები, რომელნიც მე ისეთივე შვილებად მიმაჩნიან, როგორც სხვა ჩემი ქვეშევრდომნი. ქვეშევრდომთ ყველას ერთნაირად ვუყურებთ, რა სარწმუნოებისაც უნდა იყვნენ. ეხლა გავიგე, რომ ზოგიერთი მოხელენი საიდუმლოდ სდევნიან და ავიწროებენ მაჰმადიანებს მხოლოდ იმისთვის, რომ ისინი სხვა ჩინელებისაგან განირჩევიან სარწმუნოებით. ლაპარაკობენ სხვა ენით და სხვანაირ ტანისამოსს იცვამენ. მანდარინები ასეთის ქცევით ამტკიცებენ, რომ მათ არ უნდათ იმპერატორის სურვილი აღასრულონ, ამიტომ სასტიკად უნდა დაისაჯნენ ამგვარი მანდარინები. მაჰმადიანების შევიწროება არავის არ შეუძლიან, საზოგადოდ სარწმუნოებისათვის დევნა უსაფუძლო და საზარალოდ მიმაჩნია. სარწმუნოება მაჰმადიანებს წინაპრებმა გადასცეს. მაჰმადიანები სხვა ენაზედ ლაპარაკობენ, მაგრამ განა თვით ჩინელებს-კი სხვა-და-სხვა კილო არა აქვთ? ან-კი ვის რა ზარალი აქვს იმისაგან, რომ მაჰმადიანებს სხვანაირი ტაძრები აქვთ, სხვანაირ ტანისამოსს იცვამენ და სხვა გვარად სწერენ? მაჰმადიანები ისევე კარგად იქცევიან, როგორც სხვა ჩემი ქვეშევრდომნი. ჩემი სურვილია, მაჰმადიანებს სარწმუნოების საქმეში სრული თავისუფლება ჰქონდეთ. თუ მაჰმადიანები თავიანთ ვალდებულებას სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე პირნათლად ასრულებენ, ვის რა საქმე აქვს იმათთან! ვიმეორებ, მე ყველა ჩემს ქვეშევრდომს, სულ ერთია მაჰმადიანი იქმნება იგი, თუ სხვა სარწმუნოების კაცი, ერთნაირის თვალით ვუყურებ. მაჰმადიანებმა საუკეთესო მოხელენი და აფიცრები მოგვცეს, რომელნიც პირნათლად ასრულებდნენ მაღალს თანამდებობებს. ეს საუკეთესო საბუთია იმისა, რომ მაჰმადიანები ითვისებენ ჩვენ ზნე-ხასიათებს და სხვა ჩინელებთან ერთად სწავლობენ ჩვენ საღმრთო წიგნებს. ეგზამენებს იჭერენ ლიტერატურაში და მსხვერპლსა სწირავენ ისე, როგორც კანონი მოითხოვს. ერთის სიტყვით, მაჰმადიანები ერთგული წევრნი არიან ჩვენის დიდის ჩინეთის ოჯახისა და ერთგულადვე ასრულებენ ყოველსავე ვალდებულებას. ჩემის ქვეშევრდომებისათვის ერთი კანონი უნდა არსებობდეს: ის, ვინც კარგად იქცევა, დაჯილდოვებულ უნდა იქმნას, ვინც ცუდად — დასჯილი“.

* * *

ამერიკელები სიყვარულშიაც-კი უცნაურნი არიან. ტეხასში ერთი შეძლებული ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი, გვარად დარმონი, კარგა ხანია თავს ევლებოდა ლამაზს ქალს, ვინმე რინნერს. ქალი უარზედ იყო და ცოლად გაყოლას არა სთანხმდებოდა. ამას წინად დარმანსა და რინნერს ნავით მდინარე პეკოსზედ გაუსეირნიათ. ყმაწვილ კაცს ხოლო ახლა დაუწყვია თავისს სიყვარულზედ ლაპარაკი და ხელ-ახლად უთ-

ია, გამომყევი ცოლადაო. ქალ ს უთქვამს, ცოლად მაშინ გამოგყვები, თუ ჩემდამი სიყვარულს დაამტკიცებ და აგერ იმ რკინის გზის ხიდიდგან გადახტები მდინარეშიო, და ქალს ხელი გაუშვერია ხიდისაკენ, რომელიც 40 საჟენის სიმაღლისა ყოფილა. დარმონს ხმა არ ამოუღია; ნავი ნაპირზედ მიუყვანია, გადამხტარა და ხიდისაკენ გაქანებულა. ცოტა ხანს უკან ყმაწვილი კაცი ხიდიდგან თავ დაღმა წყალში დაშვებულა. ნაპირზედ დიდ-ძალი ხალხი ყოფილა, ორი კაცი მაშინვე შევარდნილა მდინარეში. მალე დარმონი გულ-წასული გამოუყვანიათ. საწყალს სახე და მკერდი ძალზედ ჰქონდა თურმე გალურჯებული, რადგანაც წყალში თავით ჩავარდნილა. საბედნიეროდ ამის მეტი არაფერი ჰვნებია. ქ-ნ რინნერს უთქვამს, რომ ეხლა-კი გავყვები ცოლადაო დი დარმონი მხოლოდ ასეთის მსხვერპლის შემდეგ ჰღირსებია შეუბრალებელ ქალის ქმრობას.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** „მთავრობის უწყება“-ში დაბეჭდილია: „იმ მცირე რაზმის მისაშველებლად (რაზმი შესდგება ნახევარ როტისა და 15 ყაზახისაგან), რომელმაც 16 ოქტომბერს გაანთავისუფლა ფრანგი მისიონერნი და რომელსაც გარს შემოერტყა 6000 კაცისაგან შემდგარი ჩინელთა ბრბო, გაგზავნილ იქმნა ჯერ გარნიცკის მცირე რაზმი, ხოლო შემდეგ გენერალი ცერპიცკი წავიდა 2 როტითა და 4 ზარბაზნით. 22 ოქტომბერს მივიდა-რა ბრძოლის ველზედ, გენერალმა ცერპიცკიმ ჰნახა, რომ რაზმები ჩინელებს ებრძოდნენ; ჩინელნი დამარცხებულ და უკუ ქცეულ იქმნენ. ჩვენის მხრით მოკლულ იქმნა ორი მსროლელი, დაიჭრა ოთხი აფიცერი და 56 მსროლელი“.

**პეკინი.** სახელმწიფოთა ელჩები საბოლოოდ დათანხმდნენ, რომ მათ საერთო ნოტაში მთავრობათ წარუდგინებათ მოსაწონებლად, როგორც მთავარი პრინციპები ჩინეთთან პირველ-დაწყებით შეთანხმებისა, შემდეგი პირობანი: ჩინეთი ვალდებულია აუგოს ძეგლი კეტტელერს იქ, სადაც იგი მოკლულ იქმნა; ჩინეთი ვალდებულია გაჰგზავნოს გერმანიაში ერთ-ერთი პრინცი საბოდიშო გრამოტათა გადასაცემად; ჩინეთი ვალდებულია სიკვდილით დასაჯოს თორმეტი უმაღლესი მოხელე, რომელთა სახელები უკვე ცნობილია; იმ ადგილებში, სადაც არეულობანი მოხდა, პროვინციის ეგზამენები შეჩერებულ უნდა იქმნას ხუთის წლის განმავლობაში; შემდეგში ის მოხელენი, რომელნიც საკმაო ზომებს არ მიიღებენ და თადარიგს არ დაიჭერენ უცხო-ქვეყნელთა წინააღმდეგ მიმართულ უბედურებათა ასაცდენად, გადაყენებულ და დასჯილ უნდა იქნენ; ჩინეთი ვალდებულია გადაიხადოს ჯილდო (ფულად); ცუნგლიამენი უნდა გაუქმდეს და იმის მაგიერ დაარსდეს გარეშე საქმეთა სამინისტრო; იმპერატორთან მოლაპარაკებისა და მისვლა-მოსვლის წესი შეიცვლება; ტაკუ და სხვა სიმაგრეები უნდა დაიქცეს; სამხარ იარაღისა და მასალის შეტანა აღიკრძალოს; პეკინში მისიებთან სადარაჯო რაზმი იქმნას დაწესებული, აგრეთვე სადარაჯო უნდა დაწესდეს პეკინსა და ზღვას შუა მიმოსვლის უზრუნველ-საყოფელად. ორის წლის განმავლობაში მთელს იმპერიაში გაკრულ უნდა იქმნას იმპერატორის პროკლამაციები, რომლებითაც აღიკრძალება „დიდის მუშტის“ აგიტაცია. გადასახდელი ჯილდო შეიცავს აგრეთვე იმ ზარალის ფულსაც, რომელიც უცხო-ქვეყნელებთან მყოფ ჩინელებს მიაყენეს. ჩინელ ქრისტიანეთა დაჯილდოვება არ არის წინდახედული და სიტყვები: „მისსიონერნი“, „ქრისტიანენი“ სულ არ არის მოხსენებული ნოტაში. ჯილდო უნდა მიეცეთ დაზარალებულ სახელმწიფოებს, კორპორაციებსა და კერძო კაცებს. იმ სიმაგრებად, რომელნიც დაქცეულ უნდა იქმნენ, იგულისხმება პეჩილიის ნაპირზედ არსებული სიმაგრეები.

**ტიანძინი.** რუსებმა აიღეს თოფხანა, იანძუნის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე. მათ ხელთ ჩაიგდეს კარგა ბლომად ფული და სომარი იარაღი. მოკლულ იქმნა 200 ჩინელი. რუსებს მცირე ზარალი მოუვიდათ.

**ბერლინი.** საკავშირო საბჭომ ნება დართო მესამე დამატებითი კრედიტისა 1900 წლისათვის. ეს კრედიტი ჩინეთის ექსპედიციის ხარჯს შეეხება.

1 ნოემბერი.

**ლონდონი.** ოფიციალური გაზეთი იუწყება, რომ გაუქმებულ იქმნა წინანდელი განკარგულება ორანჟეს რესპუბლიკასა და ტრანსვაალში საქონლის შეტანის აღკრძალვის შეხახებაო.

**ტოკიო.** რამდენისამე დღის წინად პრინცი ტუანი აქ იყო. ნინხსიანში მიმავალმა პრინცმა აქ გზად გამოიარა. როგორც ამბობენ, პრინცი თავისს ნათესავ იქაურ გუბერნატორთან წავიდა. მგზავრობას საიდუმლოდ შეუდგა პრინცი. იუნლუ ჯანგალისაკენ მიდის. სად იმყოფება პრინცი ჩანგი არ იციან.

**პეკინი.** ჯერ კიდევ არის ხმა ქვრივს იმპერატრიცის გარდაცვალების შესახებ, მაგრამ დანამდვილებით არაფერს იუწყებიან.

**პეკინი.** ხვალ მინგთა დინასტიის სასაფლაოსაკენ, რომელიც პეკინიდგან ჩრდილოეთით 30 მილის მანძილზეა, გერმანელთა მეორე მცირე ექსპედიცია მიდის. სასტიკი ბრძანება იქმნა გამოცემული იმის შესახებ, რომ გაზეთის კორესპოდენტებს ნება არ მიეცეთ ექსპედიციას გაჰყვნენ.

**ბერლინი.** მაიორის გრეგემის რაზმისა და შანჰაი-გუანის ჩრდილოეთ მყოფ რუსების მოქმედებათა შესახებ ვალდერზეე იუწყება: „გრეგემის რაზმი პეკინში მოვიდა 25 ოქტომბერს; რაზმს ხსიუნხოსიანთან. მცირე შეტაკება მოუხდა „დიდის მუშტის“ ცხენოსნებთას. საზოგადოდ განვლილ ადგილში მშვიდობიანობა. რუსთა რაზმმა განთავისუფლა შანჰაი-გუანის ჩრდილოეთით მისიონერნი და ეპისკოპოსნი.“

**ბრიუსელი.** ვიზის მახლობლად მადაროებში ორჯელ აფეთქება მოხდა. ცამეტი კაცი მოკვდა,—მათ შორის ოთხი მოსამსახურე,—ათი მძიმედ და ცხრა მსუბუქად დაიჭრა.

**ბაქო.** 30 ოქტომბერს ცეცხლი წაეკიდა ბინოვსკის კიშკას, საიდგანაც ნავთის შადრევანი სცემდა; მაშინვე ბიბიეიბათის ნავთი სემრეწველოების მახლობლად აფეთქდა ორი ნავთის სატვირთი. „როსსია“ („მაზუთის საზოგადოებისა“) და „ალიაბადი“. პირველზედ ხუთი კაცი დაიღუპა, ხოლო მეორეზედ—ორი.

**ტაშკენტი.** გენერალ-გუბერნატორი დუხოვსკოი დღეს პეტერბურგში წავიდა.

## მცირე შენიშვნა

ყველას მოგეხსენებათ, კარგა ხანია, რაც ახალ-სენაკში ძმ. თავართქილაძეებმა სტამბა და წიგნის მაღაზია გახსნეს. პირველ ხანებში იგინი პირნათლადა და სინიდისიერად ჰყიდდნენ ყოველგვარს სასწავლო ნივთებსა თუ სხ., მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში-კი ყოველივე გაგვიძვირეს, მაგ. ქართულ „წერის დედანთან“ სახმარებელს რვეულებს ჰყიდიან შაურად, ხოლო ამავე რვეულებს დუქნებში ოთხ კაპ. უკეთუ სხვებს შეუძლიანთ ოთხ კაპ. ჰყიდონ ეს რვეულები, ნუ-თუ წიგნის მაღაზიისა და სტამბის პატრონს არ შეუძლიან?.. აქვე ჰყიდიან პატარა მოსწავლეებზედ ადამის დროინდელს ქართულ-რუსულ რვეულებსა, რომლის დრო უკვე წასულია. კარგი იქნება ძმ. თავართქილაძეებმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ და სასწავლო ნივთები, როგორც სიმართლე მოითხოვს, ისე ჰყიდონ.

ტრიფონ კალანდარიშვილი

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული.

**ზირკვლ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:**

2 ნოემბერი.

ნაფიც ვექილის კონსტანტინე სლინკოსი, რომელსაც ფულების გაფლანგვა ედება ბრალად.

ნიკო გაფრინდაშვილისა, ქურდობის ჩადენა ბრალდება.

ივანე კიკვაძისა, რომელსაც სასჯ. დებულების მე-1651 გლეხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

ვასილ მერკვილაძისა—სასჯ. დებ. მე-1523 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენა ედება ბრალად.

9 ნოემბერი.

მიხეილ ვარდუაშვილისა, მკვლელობის განზრახვის ჩადენის ბრალი ედება.

არტემ თევზაძისა—მკვლეუობის ჩადენის განზრახვის ბრალი ედება.

იოსებ გაბაძიშვილისა, რომელსაც სასჯ. დებულ. მე-1653 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

16 ნოემბერი.

ქიათურის ყოფილ სამრეწველო ბოქაულის ნესტორ ნიკოლოზის ძის არდიშვილისა, რომელსაც სამსახურში დანაშაულობის ჩადენა ჰბრალდება.

საჩხერის ნაწილის ყოფილ ბოქაულის გაბრიელ ფიცხელაურისა, რომელსაც სამსახურში ჩადენილ დანაშაულობის ბრალი ედება.

დათა კუბეციასი, რომელსაც სასჯ. დებულების მე 1656 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.


# ანცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ 16 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, გამგეობისავე თანდასწრებით მოხდება ხელ ახლად

**საქართო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაიცემა ბორანი, მტკვარზედ გამართული, მუხრანის ქუჩასა და რიყის შუა.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ სინჯონ გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ-დღე კვირა-უქმეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

(3—6—3)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

**ჰიგიენური**

ბორნო-გლიცერინის საპონი

პროვიზორის

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—6.—27)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გმოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე“**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან; პატარა —1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის საფთიაქო მაღაზიაში. ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—6)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ვაჟა ფშაველასი | 1 | „ |
| სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა | „ | 5 |
| საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა, მისივე | „ | 10 |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა | „ | 30 |
| ამბავნი და მოთხრობანი, თარგ. გრ. ყიფშიძისა | „ | 15 |
| საქართველოს ძველის დროის თავ-გადასავალი | „ | 40 |
| ეკატერინე ბატონიშვილი, ხუსკივაძისა | „ | 5 |
| შ. არაგვისპირელის თხზულებანი | „ | 50 |
| სიტყვიერების თეორია | 1 | „ |
| ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი | 1 | 50 |
| ვინ მოიგონა არაყი, ტოლსტოისა | „ | 5 |
| Заслуги грузинскаго монашества Е. К. | „ | 30 |
| Двѣнадцативѣковая борьба | „ | 50 |
| Грузинскіе поэты, Тхоржевскаго | „ | 30 |
| Царица Тамара, М. Джанашвили | „ | 50 |
| Исторія грузинск. церкви, его же | „ | 40 |
| Грузинскія обители внѣ грузіи, его-же | „ | 25 |
| Письма о грузіи, Исарлова | „ | 80 |
| შოთა რუსთაველი და მისი ცოლი, ან. ფურცელაძისა | „ | 10 |
| სომხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი | „ | 30 |
| ნამდვილი სამსახური, მოთ. | „ | 40 |
| Новая постановка педагог. дѣла въ учебн. завед. | „ | 20 |
| Назрѣвшій вопросъ (Ко дню столѣтія присоединенія грузіи къ Россіи), Е. К. | „ | 20 |
| თხზულებანი პუშკინისა | „ | 50 |
| სულიკო, აკაკისა | „ | 10 |
| სამი პოემა, ან. ფურცელაძისა | „ | 50 |
| მეზობლები | „ | 5 |
| მელის წიგნი, ანუ იგავ-არაკების კრებული, ვარდანასი | „ | 40 |
| საერო დღესასწაული | „ | 25 |
| ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა | „ | 50 |
| ნელიო და პატრაში, საყმ. მოთხრობა | „ | 10 |
| თამარ მეფე, ზ. ჭიჭინაძისა | „ | 10 |
| მეცნიერებისათვის წამებული | 1 | „ |
| ლაზარილიო | „ | 10 |
| დედა ანდერსენისა | „ | 8 |
| ჩვენი ძველი გმირები, გ. წერეთლისა | „ | 10 |
| ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილისა | „ | 40 |


Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 го Ноября 1900 г. სტამბა მ. შარაძის და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე